ჟურნალის რედაქცია ულოცავს ბატონ არჩილ ფრანგიშვილს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორად არჩევას, უსურვებს წარმატებებს საზოგადოებრივ საქმიანობაში და პირად ცხოვრებაში

არჩილ ფრანგიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

არჩილ ფრანგიშვილი დაიბადა 1961 წელს, ქ. თბილისში, ქართველი. 1978 წელს დაამთავრა თბილისის 37-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1983 წელს – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (სპი) ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი. 1983-1987 წწ ა. ფრანგიშვილი სპი-ს გამოთვლითი ტექნიკის კათედრის ასპირანტია.

1987 წელს, მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკის ინსტიტუტში, ა. ფრანგიშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და ამავე წლიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) საპრობლემო ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელია; 1988-1992 წწ. სტუ-ს გამოთვლითი ტექნიკის კათედრის დოცენტ და საპრობლემო ლაბორატორიის სექტორის გამგეა; 1992 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1993 წლიდან სტუ-ს პროფესორია, ხოლო 2006 წლიდან სტუ-ს სრული პროფესორია; 1992-2003 წწ. სტუ-ს ინფორმატიკის, მართვის სისტემების და ტელეკომუნიკაციების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა; 1992-2005 წწ. კომპიუტერული და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის სამეცნიერო ხელმძღვანელია; ა. ფრანგიშვილი 2002-2005 წ.წ. საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულია ენერგეტიკის სფეროში; 2005-2008 წ.წ. სტუ-ს რექტორის მოადგილეა. 2008 წლიდან – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი. იგი 2007 წლიდან საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტია.

ა. ფრანგიშვილი 1994 წლიდან გაეროსთან არსებული ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრია, 1995 – საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის, ხოლო 1996 – საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდ-

ვილი წევრია; 1997 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტია; 2004 წლიდან საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის ნამდვილი წევრია.

ა. ფრანგიშვილი 1998 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენერგეტიკის პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს წევრია; 2005 წლიდან საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს წევრია; 2006 წლიდან აშშ-ს ბიოგრაფიული ინსტიტუტის მრჩეველთა საბჭოს წევრია; 2007 წლიდან არის სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე; 2008 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნანოტექნოლოგიების ქვეკომისიის თავმჯდომარე.

ა. ფრანგიშვილი არის 120 სამეცნიერო ნაშრომის, 7 მონოგრაფიის და 5 სახელმძღვანელოს ავტორი. მის მიერ დამუშავებული და რეალიზებულია სხვადასხვა სისტემები თანამგზავრულ და საფრენ ობიექტებში, ენერგეტიკაში, ტრანსპორტში, მუნიციპალურ ინფრასტრუქტურებისა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებში.

ა. ფრანგიშვილის სამეცნიერო ხელმძღვანელობით მომზადებულია და დაცულია 16 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ა. ფრანგიშვილს 1990 წ. მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, მიკროპროცესორული ქსელური სტრუქტურების დამუშავებისა და სერიულ წარმოებაში დანერგვისათვის; 1996 წ. დაჯილდოვდა ღირსების მედლით, ხოლო 2003 წ. – ღირსების ორდენით; 2000 წელს საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტთა საბჭოს დადგენილებით მიენიჭა საპატიო წოდება „XX საუკუნის გამოჩენილი ინჟინერი“, მეცნიერების, ტექნიკის და ტექნოლოგიების განვითარებაში აღიარებული წვლილისათვის, აგრეთვე საერთაშორისო საინჟინრო თანამეგობრობის განმტკიცებისათვის; 2005 წ. დაჯილდოვდა მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების მედლით მეცნიერებაში მიღწეული წარმატებისათვის.

2009 წ. დღემდე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორია.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.